

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:  
ფრანგული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში.  
**MA in French Philology**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:  
სრული პროფესორი ზურაბ არჩვაძე

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:  
აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი.  
პროგრამისთვის სავალდებულო 65 ECTS , არჩევითი 25 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS .

პროგრამის ანალოგთა ვებ-გვერდი:  
Institut de langue et de littérature française  
[http://www.francais.unibe.ch/content/enseignements\\_tudes/programmes\\_dtudes/ba\\_ma\\_rsl\\_05/index\\_fra.html](http://www.francais.unibe.ch/content/enseignements_tudes/programmes_dtudes/ba_ma_rsl_05/index_fra.html)

Université de Geneve  
<http://www.unige.ch/lettres/etudes/formations/plans/francaismoderne/Francais09-VOJYT.pdf>

University of Louisville

<http://louisville.edu/graduatecatalog/programs/degree-programs/academic/ga/frenma/>

University of Toronto

[http://www.gradschool.utoronto.ca/programs/Graduate\\_Units/french.htm](http://www.gradschool.utoronto.ca/programs/Graduate_Units/french.htm)

Université McGill

<http://www.mcgill.ca/gradapplicants/french-language-and-literature>

**სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

1. ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
2. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება.
4. საუნივერსიტეტო წერითი გამოცდის (ტესტირების) ჩაბარება ფრანგულ ენის თეორიასა და ფრანგულ ლიტერატურაში.

**პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, საწავლო პროცესი გულისხმობს ფრანგულენოვან კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ფრანგულ ფილოლოგიაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას ფრანგული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში- სწავლის გასაგრძელებლად.

**დასაქმების სფეროები:**

კურსდამთავრებული შეძლებს სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას დოქტორანტურაში, სამეცნიერო მოღვაწეობას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, პედაგოგიურ მოღვაწეობას შესაბამისი პროფილით, ანალიტიკურ საქმიანობას სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში, საგამომცემლო სფეროში, სარეკლამო სააგენტოებში, პრესცენტრებში, რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში, კულტურის სფეროში.

## სამაგისტრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

### -ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრანტს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში: ფრანგულ ენათმეცნიერებაში იგი დაეუფლება ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ფრანგული ენა), ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, შეიძენს ღრმა, დარგობრივ ცოდნას ფრანგულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფრანგული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (ფრანგული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), დაეუფლება დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, გააცნობიერებს ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს.

### -ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ფრანგულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შექმნით სტუდენტს ექნება კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა უნდა იყოს სკალირების C პირველ დონის შესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მას შეეძლება რომანისტიკაში (ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ფრანგული ლიტერატურული ტექსტების (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-პოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტმცოდნეობითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძველების გათვალისწინებით.

### -დასკვნის უნარი:

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს შესძენს რომანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარს, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევებს, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით რომანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს. ყოველივე ამას ჩამოუყალიბებს მას ცალკეული დისციპლინები – პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, რომანის, დრამის, ლირიკის პოეტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი, ასევე საკურსო და სამაგისტრო შრომები.

### -კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრანტი შეძლებს უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრანტი დაეუფლება ფრანგული ფილოლოგიის დისციპლინების უახლეს მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, შეეძლება მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება. მას ეცოდინება სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეეძლება მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე შეეძლება მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, იგი აითვისებს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევით მეთოდიკას და მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდებს. მაგისტრანტი გაითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს.

#### **-სწავლის უნარი:**

მაგისტრანტს შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ფრანგული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, ფრანგული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდიკის გამოყენება.

#### **-ღირებულებები:**

მაგისტრანტს ექნება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეეძლება სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მას შეეძლება ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებული იქნება ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რასაც ლიტერატურათმცოდნეობით და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძენს.

## სწავლების მეთოდები

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე სტუდენტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში სტუდენტის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

## მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

მაგისტრანტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია მაგისტრანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებას;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
    - ა.გ) (B) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
    - ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში მაგისტრანტის მიღწევების შეფასების

დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:**

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).

➤ საკუთრივ ფრანგული ფილოლოგიის განყოფილებას აქვს მდიდარი მატერიალური რესურსი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის საკუთრივ მატერიალურ რესურსს შეადგენს:

- -1 კომპიუტერი
- -1 ტელევიზორი
- -1 ვიდეომაგნიტოფონი
- 3 აუდიომაგნიტოფონი
- -1 CD PLAYER
- - 1 სატელიტის მიმღები
- -კასეტები (ვიდეოთეკა)

საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის სასწავლო კურსებთან

კომპეტენციების ბადა

ს ა ბ ე ბ ი	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ლირებულუებები
ლინგვისემოტიკა	+	+	+	+		
ლინგვისტური სემანტიკა	+	+	+	+		
თანამედროვე სინტაქსური თეორიები	+	+	+	+		
კონტრასტივიკა	+	+	+	+		
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )1	+	+		+	+	
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )2	+	+		+	+	
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )3	+	+		+	+	
ფრანგული რომანის პოეტიკა	+	+			+	
ფრანგული დრამის პოეტიკა	+	+			+	
ფრანგული ლირიკის ისტორიული პოეტიკა	+	+		+	+	
თარგმანის თეორია და პრაქტიკა	+	+	+		+	
სამეცნიერო წერიის საფუძვლები	+	+		+		
ფონოლოგია	+	+		+	+	
ფრანგული ენის ფრაზეოლოგია	+	+	+	+		
ლინგვისტური პრაგმატიკა	+	+	+	+		
სოციოლინგვისტიკა	+	+		+	+	
სპეცურსი მწერალზე	+	+			+	
შუა საუკუნეების ფრანგული ლირიკა	+	+			+	
ტექსტის ლინგვისტიკა	+	+	+	+		
ლინგვისტური სტილისტიკა	+	+	+	+		
XX საუკუნის ფრანგული პოეზია	+	+			+	
პოსტმოდერნიზმი	+	+			+	
საკურსო ნაშრომი	+	+				
სამაგისტრო ნაშრომი	+	+				



სასწავლო გეგმა

დისციპლინის დასახელება	გამოცდა						საათების (კვირული) განაწილება სემესტრების მიხედვით				შენიშვნა					
		ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	ფინალური და შუალედური გამოცდების დრო	დამოუკიდებელი	კრედიტების რაოდენობა									
							I სემ	II სემ	III სემ	IV სემ	სულ	I სემ	II სემ	III სემ	IV სემ	
<b>პროგრამისათვის სავალდებულო კურსები</b>																
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული ) <sup>1</sup>	1	125		48	3	74	5				5	4				

პირითადი უცხო ენა (ფრანგული )2	2	125		60	3	62		5		5		4		
პირითადი უცხო ენა (ფრანგული )3	3	125		60	3	62			5	5			4	
სამეცნიერო წერის საფუძვლები	1	125	12	12	4	97	5			5	2			
ლინგვოსემიოტიკა	1	125	12	12	4	97	5			5	2			
ლინგვისტური სემანტიკა	2	125	15	30	3	77		5		5		3		
თანამედროვე სინტაქსური თეორიები	3	125	15	15	4	91			5	5			2	
კონტრასტივიკა	3	125	15	15	4	91			5	5			2	
ფრანგული რომანის პოეტიკა	1	125	24	12	3	86	5			5	3			

ფრანგული დრამის პოეტიკა	2	125	37	8	3	77		5			5		3			
ფრანგული ლირიკის ისტორიული პოეტიკა	3	125	15	30	3	77			5		5			3		
თარგმანის თეორია და პრაქტიკა	1	125	12	12	4	97	5				5	2				
ტექსტის ლინგვისტიკა	3	125	15	15	3	92			5		5			2		

**პროგრამისათვის არჩეული კურსები**

არჩეული კურსები 1	1	125	12	12	4	97	5				5	2				
1.1. ფონოლოგია																
1.2. ფრანგული ენის ფრაზეოლოგია																
არჩეული კურსები 2	2	125	15	15	3	92		10(5+5)			10		2			
2.1. ლინგვისტური პრაგმატიკა																
2.2. სოციოლინგვისტიკა																
2.3. შუა საუკუნეების ფრანგული ლირიკა																
2.4. სპეცურსი მწერალზე																

არჩევითი კურსები 3	3	125	15	15	3	92			5		5			2		
3.1. ლინგვისტური სტილისტიკა																
3.2. XX საუკუნის ფრანგული პოეზია																
3.3. პოსტმოდერნიზმი																
საკურსო ნაშრომი	2	125						5			5					
სამაგისტრო ნაშრომი	4	750								30	30					
ს უ ლ							30	30	30	30	120	15	14	15		

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების საათების განაწილება გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

### პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

1. პროფ. ზურაბ არჩვაძე
2. ასოც.პროფ. ლია ნოზაძე
3. ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე
4. ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
5. ასისტ. პროფ. ქეთევან რეხვიაშვილი
6. ასოც.პროფ. ნესტან კუტივაძე
7. ასოც.პროფ. ნინო ფხაკაძე
8. პროფ. ზაალ კიკვიძე
9. პროფ. მირიან ებანოიძე

პედაგოგთა დატვირთვის მატრიცა

დისციპლინის დასახელება	სემესტრი	პედაგოგი
<b>პროგრამისათვის სავალდებულო კურსები</b>		
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )1	1	ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )2	2	ასისტ. პროფ. ქეთევან რეხვიაშვილი
ძირითადი უცხო ენა (ფრანგული )3	3	ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
სამეცნიერო წერის საფუძვლები	1	ასოც.პროფ. ნესტან კუტივაძე, ასოც.პროფ. ნინო ფხაკაძე
ლინგვოსემიოტიკა	1	ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე
ლინგვისტური სემანტიკა	2	ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე; ასისტ. პროფ. ქეთევან რეხვიაშვილი
თანამედროვე სინტაქსური თეორიები	3	ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე
კონტრასტიკა	3	ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე
ტექსტის ლინგვისტიკა	3	ასოც.პროფ. ეკა გაჩეჩილაძე, ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
ფრანგული რომანის პოეტიკა	1	ასოც.პროფ. ლია ნოზაძე
ფრანგული დრამის პოეტიკა	2	ასოც.პროფ. ლია ნოზაძე
ფრანგული ლირიკის ისტორიული პოეტიკა	3	პროფ. ზურაბ არჩვაძე

თარგმანის თეორია და პრაქტიკა	1	პროფ. ზურაბ არჩვაძე
<b>არჩევითი კურსები 1</b>	1	
1.1 ფონოლოგია		ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
1.2 ფრანგული ენის ფრაზეოლოგია		ასოც. პროფ. ეკა გაჩეჩილაძე, ასისტ. პროფ. მირანდა ლომიძე
<b>არჩევითი კურსები 2</b>	2	
2.1. ლინგვისტური პრაგმატიკა		ასოც. პროფ. ეკა გაჩეჩილაძე
2.2. სოციოლინგვისტიკა		პროფ. ზაალ კიკვიძე
2.3. შუა საუკუნეების ფრანგული ლირიკა		პროფ. ზურაბ არჩვაძე
2.4. სპეცკურსი მწერალზე		ასოც. პროფ. ლია ნოზაძე
<b>არჩევითი კურსები 3</b>	3	
3.1. ლინგვისტური სტილისტიკა		ასოც. პროფ. ეკა გაჩეჩილაძე, ასისტ. პროფ. ქეთევან რეხვიაშვილი
3.2. XX საუკუნის ფრანგული პოეზია		პროფ. ზურაბ არჩვაძე
3.3. პოსტმოდერნიზმი		პროფ. მირიან ებანოიძე